საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №287

თბილისი „12" 03 2019 წ.

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 2^1 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 11 მარტის N292125 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;
3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

მე-12 კლასში შემავალი საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დასამლევი გამოცდების ჩატარების განრიგი

N	საგანი	თარიღი	დრო
1	ქართული ენა და ლიტერატურა	19 მარტი, 2019 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
2	მათემატიკა	20 მარტი, 2019 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
3	ისტორია	21 მარტი, 2019 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
4	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	22 მარტი, 2019 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00
5	ინგლისური ენა	25 მარტი, 2019 წელი	I სესია - 10:00
			II სესია - 13:00